



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შეფასების თარიღი(ებ)ი
09.10.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა კლებეს-პელისე (ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ადვოკატი კორმაძის იურიდიულ ოფისში
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანა ფირცხელიანი - კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება "უნივერსიტეტი") დაარსდა, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი 2013 წელს და განვითარების შედარებით ახალ საფეხურს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა არაკომერციულია, უმაღლესი სასწავლებელი, რეალისტური მისიის თანახმად, მიზნად ისახავს ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებას „განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით“;

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი 2013 წელს დაარსდა და არ გააჩნია უმაღლესი განათლების სფეროში გრძელვადიანი გამოცდილება, ქართულ საზოგადოებაში მალევე მოიპოვა რეპუტაცია. უნივერსიტეტში დასაქმებულია საგულდაგულოდ შერჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც კარგი განათლება და, ასევე, ფართო პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია სათანადო სფეროში. პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას,

პროგრამის მიზნები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება, არის რეალისტური და განხორციელებადი. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, (გვ.7), „პროგრამა, შედარებითი სამართლებრივი კვლევებით, საერთაშორისო სამართლის მიღწევებით, პროფესიონალური უნარების განვითარებით, მიზნად ისახავს ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებას მართლმსაჯულების აღქმაზე“. კერძო, საჯარო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის კომპეტენციები უზრუნველყოფენ იმის შესაძლებლობას, რომ პროფესიონალური საქმიანობა წარმართოს პირმა ისე, რომ არ დასჭირდეს მაგისტრის ხარისხი სამართალში. ასევე შეიძლება იმის ხსენებაც, რომ უნივერსიტეტს აქვს ძლიერი საერთაშორისო პარტნიორობის პოლიტიკა და მას, ასევე, იყენებს საბაკალავრო პროგრამის გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად.

სტუდენტზე ორიენტირებული საბაკალავრო პროგრამა მათ სთავაზობს კვალიფიციურ აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ/პროფესიონალ პერსონალს. მათი კვალიფიკაციები და რაოდენობა, სრულიად ადეკვატურია მოსალოდნელი სწავლის შედეგების მისაღწევად და სამართლებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასწავლო / სამეცნიერო / მოწვეული პერსონალი საკმაოდ ცნობილია ეროვნულ სასწავლო და პროფესიულ გარემოში. რასაც საკმაოდ წარმატებული და პრაქტიკული გამოცდილება მოაქვს და მხარს უჭერს პროგრამის მიმდინარე ინოვაციურ პროცესს.

აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

საბაკალავრო პროგრამის სააკრედიტაციო ვიზიტი შედგა 2018 წლის 9 ოქტომბერს. სხვადასხვა აუცილებელი შეხვედრები იყო ორგანიზებული, დაწყებული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრებით, რასაც მოჰყვა შეხვედრები სამართლის სკოლის დეკანთან, აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ორგანიზებული იყო დაწესებულების დათვალიერება

(ბიბლიოთეკები, საკლასო ოთახები, ოფისები, შენობები, სადაც გამოვლინდა საკმაოდ აქტიური და ინოვაციური საინფრასტრუქტურო პოლიტიკა);

სხვადასხვა ჩატარებული ინტერვიუდან მივიღეთ: პირველ რიგში, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ზემოთ ხსენებული პროგრამის ორგანიზებას შეეხება (ინოვაციური, აკადემიური პერსონალის მაღალი ხელმისაწვდომობა, სტუდენტთა ხელმძღვანელობის მაღალი დონე); მეორე რიგში, წარმოაჩინეს საბაკალავრო სწავლების ორგანიზების სერიოზული და ინოვაციური გზები (იხილეთ ქვედა პუნქტები). როგორც ირკვევა, ამ დონეზე, სხვა მსგავსი პროგრამა არ არსებობს, სადაც სტუდენტები მაქსიმალურად ჩართულები არიან და მიმართულება აქვთ თავიანთ მუშაობაში, რეგულარულ დონეზე. სწავლების მეთოდი სრულყოფილად შეეფერება ტრადიციული სწავლის მეთოდების აუცილებელ ადაპტაციას საზოგადოებისა და ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო შრომის ბაზრის ევოლუციასთან. საგნები, რომლებიც ისწავლება სასარგებლოა და პროგრამაზე არსებობს სასწავლ თემათა ფართო სპექტრი.

- **სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეჯამება**

პროგრამა შესაბამისობაშია ყველა სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- შეფასების კრიტერიუმები პროგრამის სილაბუსების უმეტეს ნაწილში ერთი და იგივეა, ერთადერთი განსხვავება ქულების გაყოფაშია. ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს თითოეული სილაბუსის პირადი ინტერესების, თვალსაზრისის, კურსის სპეციფიკის მიხედვით ორგანიზებას, რაც უზრუნველყოფს ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვას.

- **რჩევები**

- შრომის ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი ანალიზი;
- კურსდამთავრებულებისათვის კარიერული მხარდაჭერის გაუმჯობესება და უფრო ეფექტური დასაქმების პოლიტიკის შემუშავება;
- კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტებისგან მიღებული დეტალური უკუკავშირის მიწოდება ლექტორებისთვის.
- უნივერსიტეტისთვის უმჯობესი იქნება თუკი ეროვნულ გამოცდებზე მინიმალურ ზღვარს გაითვალისწინებს და მეტ სტუდენტს მისცემს პროგრამაზე სწავლის საშუალებას.
- საჭიროა პროგრამის მეტად გასაჯაროება იმისათვის, რომ მეტი სტუდენტი მოიზიდვოდ. ამ დრომდე ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ სწავლების ახალი მეთოდი შემუშავებულიყო, ძალიან კომპეტენტური აკადემიური და მოწვეული პერსონალის წევრების დახმარებით. ახლა მეტი დრო უნდა დაეთმოს მხარდი პოპულარობის შექმნას და პროგრამის ეროვნული და საერთაშორისო ხილვადობის გაზრდას. მაგალითად, კურსდამთავრებულები შესაძლოა იყვნენ ოფიციალური ელჩები. ადაპტირებულ საკომუნიკაციო პოლიტიკაზე მუშაობა.
- იმ შემთხვევაშიც კი თუ ელექტრონული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, სასარგებლო იქნება თუკი სტუდენტებს ექნებათ სამართლის სხვადასხვა სფეროს განახლებული წიგნები.
- ინტერვიუებზე/შეხვედრებზე ახსენეს ის ფაქტი, რომ ბიუჯეტი რეალურად ფართოდ ორიენტირებულია კვლევაზე. შესაძლოა გაითვალისწინოთ მეტი ბიუჯეტის გამოყოფა არჩევითი კურსების რაოდენობის გასაზრდელად, რომლებიც შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს და უნივერსიტეტის/სამართლის სკოლის არსებულ პოლიტიკას

(სწავლების/სწავლის ახალი მეთოდი სწავლების თანამედროვე მიდგომებით).ამან შესაძლოა გაზარდოს საბაკალავრო პროგრამის პოპულარულობა სტუდენტებში, განახლებული საკომუნიკაციო პოლიტიკით, ბიუჯეტის ხარჯზე.

- უნივერსიტეტმა / სამართლის სკოლამ შეიძლება, თავისი მიზნების უკეთესად მისაღწევად, სცადოს სტუდენტებისთვის საგრანტო პოლიტიკის დახვეწა (მაშინაც კი, როდესაც უკვე არსებობს ფონდის გრანტები) და უფრო გასარკვევად აღწეროს ბიუჯეტის პროექტში.ეს, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის მიმზიდველობის გაზრდას.
- შემდგომი შეფასების პროცესებისთვის, ასევე სასურველია, თუკი უნივერსიტეტს ექნება უფრო დეტალური თვითშეფასების ანგარიში.
- „კლასგარეშე აქტივობების“ მეტად გაფართოება - მიმართულებები კვლევით საქმიანობაში და საკონფერენციო ორგანიზაციები სტუდენტებისთვის.
- კერძოდ, სისხლის სამართლის დარგში, არ არის კრიმინოლოგიის კურსი.სტუდენტების გარკვეული ნაწილის დიდი ინტერესის საფუძველზე , უნივერსიტეტისთვის სასურველი იქნება თუკი შეიმუშავენ და სტუდენტებს შესთავაზեն კრიმინოლოგიის კურსს.
- შეიძლება საინტერესო იყოს ევროპულ / საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის პროცესისათვის მიმართვა, როგორც იქნა შემოთავაზებული, მაგალითად, EUA-ს (ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია) მიერ.ამგვარი ინიციატივა, ასევე, შეუწყობს ხელს ეროვნულ და საერთაშორისო ხილვადობას.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორმხრივად ჰარმონიულია და ერთმანეთზე ახდენს გავლენას, ამავე დროს, სწავლის შედეგები ზუსტად ეფუძნება იმ მეთოდებს, რომლებსაც შედეგების დასაუფლებლად იყენებენ.
- საგანზე სტუდენტის რეგისტრაციის ფაქტი.ეს გულისხმობს, რომ კონკრეტული საგანი ღია იქნება ყველა საშუალებით; საგანი „დავის გადაჭრის ალტერნატიული მეთოდები“, როლური თამაშები, სიმულაციები, პრაქტიკაზე დამყარებული კურსები.ეს საგანი ყველაზე უპირატესია, ისევე როგორც მოპოვებული პრაქტიკული უნარები.
- ე.წ. „სწავლება კეთებით, სწავლება სწავლით“ - მეთოდი ძალიან მოქნილია და სარგებლიანი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური ან მოწვეული პროფესორებისთვის.საგანმანათლებლო პროცესში ამ მეთოდის დანერგვა მას მიმზიდველს და საინტერესოს ხდის, განსაკუთრებით, როდესაც სწავლის პროცესში არსებობს უნიკალური შესაძლებლობა იყო აქტიურად ჩართული საკმაოდ ძლიერ იურიდიულ კლინიკაში.სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ რეალურ სასამართლო სხდომებსა და განხილვებში.მათ ასევე შეუძლიათ მოამზადონ და წარუძღვენ სასამართლო სხდომებს თავიანთი ტუტორის დახმარებით.
- უნივერსიტეტი ბაკალავრიატის სტუდენტებს სთავაზობს აკადემიური პერსონალის ლექციების კომპონენტს, რომლებიც ტარდება უცხო ენაზე (ინგლისურად); ეს მიდგომა ძალიან კარგია ინგლისური ენის უნარების განვითარებისთვის.ამ თვალსაზრისით, საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის ჩართულობა, ეტაპობრივად აისახება სწავლის შედეგებზე.ამ პოლიტიკის გამოყენებით, უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ და გამოიყენონ უცხოური ლიტერატურის დედანი, მეცადინეობის დროს.
- კარიერული განვითარების მართვის/შიდა ხელმძღვანელობის მეთოდი.

- საერთაშორისო ასპექტზე ორიენტირებული სტრატეგია.
- ძალიან აქტიური ინფრასტრუქტურის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მომავალს
- ბიუჯეტის ორიენტირება იმ ყველა სახის აქტივობაზე, რომლებშიც სტუდენტები არიან ჩართული (იმიტირებული სასამართლო პროცესი და სხვა). ბიუჯეტის ორიენტირება მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვან რაოდენობაზე (პრაქტიკოს იურისტებზე), რომელთა არსებობაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მოემზადონ პროფესიული ცხოვრების/ან კვლევისთვის. ფინანსურად პრაქტიკული, სასარგებლო საგნების, თემათა ფართო სპექტრის მხარდაჭერა.
- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის შეჯამება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა სტუდენტებში განვითარებასაც ისახავს მიზნად ეს პროგრამა. ისინი ასევე ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ (შემდგომში უნივერსიტეტი ან უსდ) სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის დაწესებული ამოცანების ზოგიერთ ასპექტები არ არის დეტალურად განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა ყველა ბუნდოვანი საკითხი დეტალურად გაირკვა ადგილზე ვიზიტის დროს და უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან გასაუბრების პროცესში, შესაბამისად შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის პირველი შთაბეჭდილებაც, რომელიც მხოლოდ თვითშეფასების ანგარიშის შეფასებას ეყრდნობოდა. ამგვარად, სასურველია თუკი უნივერსიტეტს ექნება უფრო დეტალურად გაწერილი თვითშეფასების ანგარიში სამომავლო შეფასების პროცესებისთვის. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი დაარსდა, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი 2013 წელს და განვითარების შედარებით ახალ საფეხურს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა არაკომერციულია, უმაღლესი სასწავლებელი, რეალისტური მისიის თანახმად, მიზნად ისახავს ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებას „განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით“ (უნივერსიტეტის წესდება;

თვითშეფასების ანგარიში, გვ. 10);

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საბაკალავრო პროგრამა „შედარებითი სამართლებრივი კვლევებით, საერთაშორისო სამართლის მიღწევებით, პროფესიონალური უნარების განვითარებით და სამართლიანობაზე დაფუძნებით, ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობით, მიზნად ისახავს ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებას მართლმსაჯულების აღქმაზე.“(SER, გვ. 7).

თვითშეფასების ანგარიშით განსაზღვრულ ამოცანებთან ერთად, რომელთაც ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების დროს მხარი დაუჭირეს სხვა დაინტერესებულმა მხარეებმაც, საბაკალავრო პროგრამის მთავარი ამოცანაა, სტუდენტებს მიაწოდოს არამხოლოდ სამართლებრივი საკითხების თეორიული ცოდნა და გაცნობიერება, არამედ უზრუნველყოს, რომ სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ უნარებს, რომლითაც გამოიყენებენ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში, რაც საქართველოს სამართლის სფეროს შრომის ბაზარზე ერთ-ერთი გადამწყვეტი ასპექტია.

საბაკალავრო პროგრამის ამოცანები თანმიმდევრულია უსდ-ს მისიასთან, რეალისტურია და მიღწევადი და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს:

1. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი 2013 წელს დაარსდა და არ გააჩნია უმაღლესი განათლების სფეროში გრძელვადიანი გამოცდილება, ქართულ საზოგადოებაში მალევე მოიპოვა რეპუტაცია. უნივერსიტეტში დასაქმებულია საგულდაგულოდ შერჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც ძლიერი განათლება და, ასევე, ფართო პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია სათანადო სფეროში. ასეთი პროფესიონალების მიერ შექმნილი და გადმოცემული კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ არამხოლოდ თეორიული ცოდნა შესაბამის საგანში, არამედ შეისწავლონ მისი პრაქტიკაში გამოყენებაც. მართალია საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დაწესებული მაღალი სტანდარტის მოთხოვნები შედეგად შედარებით ნაკლები რაოდენობის სტუდენტებს იძლევა, თუმცა ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ბაკალავრიატის სტუდენტების უმრავლესობას აქვს უნარი და საკმარისი ცოდნა, რომ წარმატებით გაიაროს პროგრამა. ამას გარდა, საბაკალავრო პროგრამისთვის შექმნილი კურსების შინაარსი შეესაბამება ამჟამინდელ ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლის ბაზრის მოთხოვნებს და სამართლის სფეროში არსებულ გამოწვევებსა და მიმდინარე პროცესებს ეხმიანება. ყველა აღნიშნული ძირითადი ფაქტორი, საკმარის ინფრასტრუქტურასა და რესურსებთან ერთად, წარმოადგენს მხარდამჭერ არგუმენტებს, იმისათვის, რომ საბაკალავრო პროგრამის ამოცანები რეალისტურად და მიღწევადად იქნეს აღქმული.

2. უნივერსიტეტში მოქმედი სისტემა, რომლის თანახმადაც თითოეულ სტუდენტს აქვს იმის თავისუფლება და შესაძლებლობა, რომ შექმნას საკუთარი პროფილი არჩევითი კურსების შერჩევით, შეესაბამება უნივერსიტეტის მთავარ ამოცანას, რომელიც გულისხმობს „პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას“ (უსდ-ს წესდება, მუხლი 3). პროგრამა უზრუნველყოფს ოთხ კომპეტენციას, ესენია კერძო, საჯარო, სისხლის და საერთაშორისო სამართალი, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას კონცენტრირება მოახდინონ მათ მიერ არჩეულ კომპეტენციაზე და განახორციელონ „საქმე, რომლისთვისაც სამართლის მაგისტრის ხარისხი არ არის საჭირო“ (თვითშეფასების ანგარიში გვ. 7). სტუდენტებისთვის მიცემული შესაძლებლობა, რომ მათ ჩამოაყალიბონ ინდივიდუალური პროფილი არჩევითი კურსების შერჩევით, სხვადასხვა სპეციალიზებული საგნების სახით და ამგვარად გააძლიერონ და გაიღრმავონ ცოდნა სამართლის კონკრეტულ დარგში, უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი დადებითი ფაქტორი. ასეთი სისტემა აღიქმას სტუდენტს, როგორც უნივერსიტეტის ძირითად დაინტერესებულ მხარეს და ადასტურებს უნივერსიტეტის დადებით განწყობას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიმართ (თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუები სტუდენტთა ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან). უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ პროგრამის ერთ-ერთი გამოწვევაა,

სტუდენტებს შესთავაზოს მეტი არჩევითი კურსი და ამგვარად გააძლიეროს მისი ამოცანა, რომ იყოს მეტად ორიენტირებული ინდივიდის თავისუფალ განვითარებაზე. თუმცა, დადებითად უნდა შეფასდეს უსდ-ს ფრთხილი მიდგომა ასეთი განვითარებისადმი: იგი ყურადღებას ამახვილებს არა უბრალოდ არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდაზე, არამედ ამ კურსების შინაარსზე და ასევე ლექტორის ცოდნასა და გამოცდილებას, კერძოდ კი მხედველობაში იღებს იმ საგნებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა სამართლის შრომის ბაზარზე.

3. პროგრამა, თავისი კურსების მეშვეობით, სადაც გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, განვითარდეს კვლევის დარგში და შესაბამისად, განაგრძოს სწავლება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებზე ან ყურადღება გაამახვილოს კერძო დარგში პრაქტიკური უნარების განვითარების კურსებზე, რათა გახდეს პრაქტიკოსი იურისტი. სტუდენტებისთვის მიცემული შესაძლებლობები, რომ გამოაქვეყნონ თავიანთი სტატიები საუნივერსიტეტო ჟურნალებში, ორგანიზება გაუწიონ და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონფერენციებსა და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში თავიანთი პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით, მტკიცებულებაა იმისა, რომ პროგრამის ამოცანები მიღწევადია. თუმცა, უმჯობესი იქნება, თუკი უნივერსიტეტი გააფართოვებს ამ მიმართულებებს და მეტად წახალისებს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ისევე როგორც სტუდენტებს, რომ შეასრულონ მეტი „კლასგარეშე აქტივობა“.

4. სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები იძლევა „მარტივი ბიუროკრატის“ სისტემის არსებობის შესახებ მტკიცებულებას: როგორც ინტერვიუს დროს უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, ეს არის სიახლე, შესაძლებლობების სფერო, სადაც პროფესორები მართავენ და ყველა ჩართულია. მაშინ, როდესაც სტუდენტები და ლექტორები სრულად იზიარებენ უმაღლესი სასწავლებლის მისიას და საბაკალავრო პროგრამის მიზნებს, ლექტორებს აქვთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალება საკუთარი კურსების თვალსაზრისით. სტუდენტებს ადვილად შეუძლიათ ადმინისტრაციასა და ლექტორებთან დაკავშირება იმ საკითხებზე, რაც მათ აწუხებთ.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაცია, რომ საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა და შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, ჯგუფური მუშაობის პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შექმნასა და შემუშავებაში მონაწილეობდნენ ადმინისტრაცია, სტუდენტები, აკადემიურ/მოწვეული პერსონალი (მათი უმრავლესობა იმავდროულად პრაქტიკოსი იურისტი და დამსაქმებელია).

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა არა მხოლოდ ინტერვიუერის მიერ უმაღლესი სასწავლებლის მისიისა და საბაკალავრო პროგრამის მიზნების ღრმა ცოდნა, არამედ მათი მონაწილეობა მიზნების მიღწევის პროცესში.

უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ საჭიროებს მეტი PR და მარკეტინგული აქტივობების ჩატარებას, რათა საზოგადოებაში გაზარდოს ამ საბაკალავრო პროგრამის ცნობადობა. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს თანახმად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე არსებული სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება, საბაკალავრო პროგრამაზე შედარებით დაბალი რაოდენობაა. სამაგისტრო პროგრამისგან განსხვავებით, სადაც სტუდენტები უმეტესად პრაქტიკოსი იურისტები და პროფესიონალები და უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები არიან, ეს საბაკალავრო პროგრამა არ არის ასეთი პოპულარული. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ მეტი საჯაროობა, ცნობიერების ამაღლება და პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნების შემსუბუქება პოტენციური სტუდენტებისთვის, შესაძლოა პოზიტიურად აისახოს საბაკალავრო პროგრამის სამომავლო განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ◦ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება ◦ თვითშეფასების ანგარიში ◦ ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ◦ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV ◦ საბაკალავრო პროგრამის კურსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ◦ შემდგომი შეფასების პროცესებისთვის, ასევე სასურველია, თუკი უნივერსიტეტს ექნება უფრო დეტალური თვითშეფასების ანგარიში. ◦ „კლასგარეშე აქტივობების“ მეტად გაფართოება - მიმართულებები კვლევით საქმიანობაში და საკონფერენციო ორგანიზაციები სტუდენტებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამა განსაზღვრავს, რომ „სტუდენტი იძენს დარგის სიღრმისეულ ცოდნას, იგი ავითარებს კომპლექსური საკითხების კრიტიკული ანალიზის

უნარს, რომ მოძებნოს და გამოიყენოს ალტერნატიული მეთოდები კონკრეტული პროგნოზების გადაჭრის გზების მოსაძებნად, სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი დასკვნა არგუმენტირებულად და საფუძვლიანად, ისევე როგორც შეაფასოს თავისი სწავლის პროცესი და სამომავლო სწავლების საჭიროება. იგი გამოუმუშავებს სათანადო ქცევისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს, რომლებიც ეყრდნობა ღირებულებათა სისტემას“ (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, ზოგადი სწავლის შედეგები).

პროგრამა უზრუნველყოფს ოთხ კომპეტენციას, ესენია კერძო, საჯარო, სისხლის და საერთაშორისო სამართალი, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას კონცენტრირება მოახდინონ მათ მიერ არჩეულ კომპეტენციაზე და განახორციელონ „საქმე, რომლისთვისაც სამართლის მაგისტრის ხარისხი არ არის საჭირო“ (თვითშეფასების ანგარიში გვ.7). სტუდენტებისთვის მიცემული შესაძლებლობა, რომ მათ შეადგინონ ინდივიდუალური პროფილი არჩევითი კურსების შერჩევით, ყურადღება გაამახვილონ სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნებზე და ამგვარად გააძლიერონ და გაიღრმავონ ცოდნა სამართლის კონკრეტულ დარგში, უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი დადებითი ფაქტორი.

„პროგრამით გამოკვეთილია თეორიული კომპონენტების პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება, ასევე

სტუდენტის ინტეგრირება პროფესიულ გარემოსა და კვლევით საქმიანობაში.“ (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და შეფასება). პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება, შრომის ბაზრის მოთხოვნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რადგან ბაზარზე ხშირად აღნიშნავენ საქართველოს უნივერსიტეტების უმეტესი ნაწილიდან კურსდამთავრებულ სტუდენტებში პრაქტიკული უნარების ნაკლებობას. კურსი ისწავლება არა მხოლოდ აკადემიური ხარისხის, ძლიერი აკადემიური წარსულის, სამართლის კერძო დარგში გრძელვადიანი გამოცდილებისა და კვლევითი საქმიანობის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ, არამედ მოწვეული ლექტორების, ასევე ასისტენტ პროფესორების მიერ, რომელთა შორისაც არიან მოსამართლეები, ადვოკატები და სამართლის კონკრეტული მიმართულების პრაქტიკოსები, რომლებიც ფლობენ მაღალ კვალიფიკაციას და უნარს, ეფექტურად განუვითარონ სტუდენტებს აუცილებელი პრაქტიკული უნარები, რათა მათ შეძლონ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. საბაკალავრო პროგრამისთვის შექმნილი კურსების შინაარსი შეესაბამება ამჟამინდელ ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლის ბაზრის მოთხოვნებს და სამართლის სფეროში არსებულ გამოწვევებსა და მიმდინარე პროცესებს ეხმიანება. მაგალითად, სახელშეკრულებო სამართლის კურსის (ხელშეკრულების ფორმირების სამუშაო ჯგუფთან) შეთავაზებასთან ერთად, საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, მოიპოვონ ხელშეკრულების შედგენის პრაქტიკული უნარები „ხელშეკრულების შედგენის“ კურსიდან; სტუდენტებს აქვთ არა მხოლოდ სავალდებულო კურსი სამოქალაქო პროცედურაში, არამედ მათ ეძლევათ იმის საშუალებაც, რომ განავითარონ შესაბამისი საპროცედურო დოკუმენტების შედგენის პრაქტიკული უნარები, მოამზადონ და წარადგინონ სიტყვა „სამოქალაქო პროცედურის პრაქტიკული კურსის“ მეშვეობით. ამასთან ერთად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო, იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, რაც შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკული უნარების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად.

„სტუდენტი სწავლობს კეთებით. სავალდებულო კომპონენტები ითვალსწინებს სხვადასხვა პრაქტიკული და კვლევითი უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ სამუშაო ჯგუფებს“ (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და შეფასება). უნივერსიტეტში მოქმედი იურიდიული კლინიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო გარემოა პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. იურიდიული კლინიკები

კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებებით „უზრუნველყოფენ სამართლებრივი საკითხების ფართო სპექტრში

ორიენტაციისა და საზოგადოებაში გავრცელებული პრობლემების მოგვარების ქმედითი გზების შერჩევის

სწავლებას“ (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და შეფასება). სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ თავიანთი თეორიული ცოდნა პრაქტიკაში, კონსულტაციების გაწევის გზით, სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენით, მათ შორის ხელშეკრულებების, განაცხადების, სარჩელების, სამართლებრივი დასკვნების მომზადებით და პირველი ინსტანციის სასამართლოში კლიენტის ინტერესების დაცვით. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ კლინიკაში მომუშავე სტუდენტთა ხელმძღვანელები პრაქტიკოსი ადვოკატები არიან, რომელთაც აქვთ ცოდნა და გამოცდილება, რომ უხელმძღვანელონ და ასწავლონ სტუდენტებს და განუვითარონ პრაქტიკული უნარები. 2018 წლის იანვარი-სექტემბრის პერიოდში კლინიკის სამუშაო დატვირთვა, რომელიც ასხავს, რომ კლინიკას 126-მა ბენეფიციარმა (კლიენტმა) მიმართა, არის იმის მტკიცებულება, რომ სტუდენტები სიღრმისეულად არიან ჩართული სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემების გადაჭრაში, პრაქტიკის დონეზე.

ერთ-ერთი დადებითი ასპექტი ისაა, რომ „დომინირებს სამართლის ინსტიტუტების შედარებით სამართლებრივი სწავლების მეთოდი. გამოიყენება რეპეტიტორიუმის (კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის) მეშვეობით პროფესიაში შესვლის გაადვილების მექანიზმები, რომლებშიც ინტეგრირებულია საერთაშორისო სამართლის ელემენტები“ (სამართლის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და შეფასება). სწავლების მოცემული მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას და მათ შესვლას პროფესიულ ცხოვრებაში.

„მარტივი ბიუროკრატიის“ სისტემის არსებობა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ადვილად დაუკავშირდნენ ადმინისტრაციას და ლექტორებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მათ აწუხებთ. ორივე, ადმინისტრაციული და აკადემიური / მოწვეული პერსონალი, განიხილავს სტუდენტებს, როგორც პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ძირითად შემფასებლებს. თუმცა, უმჯობესი იქნება, თუკი ლექტორებს მიეწოდებათ უფრო დეტალური უკუკავშირი იმ სტუდენტებისა, რომლებმაც დაასრულეს კურსი.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაცია, რომ საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა და შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, ჯგუფური მუშაობის პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შექმნასა და შემუშავებაში მონაწილეობდნენ ადმინისტრაცია, სტუდენტები, აკადემიურ/მოწვეული პერსონალი (მათი უმრავლესობა იმავდროულად პრაქტიკოსი იურისდი და დამსაქმებელია). მართალია აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა მხოლოდ რამდენიმე წელია მოქმედებს მისი დაარსებიდან, მაგრამ პროგრამაში შეტანილი ცვლილებები მიზნად ისახავდა ეთიკური ღირებულებების სწავლებას, შესაბამისად არსებობს სავალდებულო კურსი - პროფესიული ეთიკა (თვითშეფასების ანგარიში, გვ.7).

უნივერსიტეტმა უნდა გადადგას შემდგომი ნაბიჯები, რათა გააუმჯობესოს კარიერული მხარდაჭერის სერვისები მისი კურსდამთავრებულებისათვის და შეიმუშავოს უფრო ეფექტური დასაქმების პოლიტიკა, რათა კოორდინირება გაუწიოს კომუნიკაციას კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის, ასევე უწყვეტად ჩაატაროს შრომის ბაზრის ანალიზი, რათა უზრუნველყოს იქ არსებულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობა.

უნივერსიტეტს კარგად აქვს გაცნობიერებული შრომის ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი ანალიზის, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან, განსაკუთრებით

დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაციისა და მათი გადაწყვეტილების მიღებისა და სწავლის შედეგების გაზომვის პროცესში ჩართვის აუცილებლობა, სწორედ ამიტომ შეიმუშავებს შესაბამის გეგმებს, სამომავლო გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV
- საბაკალავრო პროგრამის კურსები
- იურიდიული კლინიკის ანგარიში, იანვარი-სექტემბერი 2018წ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შრომის ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი ანალიზი;
- კურსდამთავრებულებისათვის კარიერული მხარდაჭერის გაუმჯობესება და უფრო ეფექტური დასაქმების პოლიტიკის შემუშავება;
- კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტებისგან მიღებული დეტალური უკუკავშირის მიწოდება ლექტორებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	-------------------------------------	---	---	---

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
---	---	--	--	--

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წესი არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული კანდიდატებისათვის და ყველა კანდიდატს შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით სთავაზობს თანაბარ პირობებს მონაწილეობისათვის.

ბაკალავრიატზე ჩარიცხვის პროცესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ყველა დაინტერესებულ კანდიდატს, რომელიც ჩააბარებს ეროვნულ გამოცდას, აქვს შესაძლებლობა, რომ ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე. უცხო ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქეებისთვის კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში, პირი უნდა ჩაირიცხოს პროგრამაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა წესების შესაბამისად, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულ პირებს შედარებით მაღალი მინიმალური ზღვარი აქვთ ეროვნულ გამოცდებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი არ მიიღებს იმ სტუდენტებს, რომლებიც გადალახავენ ეროვნული გამოცდების მინიმალურ ზღვარს, თუმცა ვერ გადალახავენ უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ მინიმალურ ზღვარს. ეს ფაქტი უზრუნველყოფს ჩარიცხვის მაღალ დონეს, მეორეს მხრივ კი, ეს არის იმის საფუძველი, რომ ამ პროგრამაზე სტუდენტთა მცირე რაოდენობა ირიცხება და ეს შესაძლოა გამოწვევად იქცეს აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის მდგრადობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ვებ-გვერდი
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები

o ინტერვიუ ბაკალავრიატის სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • უნივერსიტეტისთვის უმჯობესი იქნება თუკი ეროვნულ გამოცდებზე მინიმალურ ზღვარს გაითვალისწინებს და მეტ სტუდენტს მისცემს პროგრამაზე სწავლის საშუალებას.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება და შემუშავებულია სამართლებრივი მოთხოვნებით. პროგრამა აერთიანებს თანამედროვე მიდგომებსა და დამოკიდებულებას, აკმაყოფილებს თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს

ჩარიცხვის წინაპირობებს. გარდა ამისა, სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი გამჭვირვალეა და აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

პროგრამა აგებულია ისე, რომ სტუდენტებს შეუძლიათ კომფორტულად განახორციელონ მეოთხედის მეცადინეობები. კურსებით გარანტირებულია, რომ სტუდენტს შეეძლოს სათანადო დისციპლინის არჩევა.

პროგრამა ემყარება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ პრინციპს, რომელიც უნივერსიტეტს აძლევს შესაძლებლობას უწყვეტად ჩაატაროს მონიტორინგი, სწრაფად გამოავლინოს პრობლემები და დაგეგმოს შესაბამისი ზომები პრობლემების აღმოსაფხვრელად.

პროგრამაში წინაპირობების სისტემა ლოგიკურად არის აგებული, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გადაღახონ სავალდებულო საგნები.

პროგრამაში ბევრი არჩევითი საგანია, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაგეგმოს სემესტრი თავისი ინტერესების შესაბამისად. ასევე უნდა აღინიშნოს პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობა. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაიაროს პრაქტიკა უნივერსიტეტის იურიდიულ კლინიკაში, რომელიც სწორად ფუნქციონირებს და აქვს უამრავი რეალური ქეისი და სწორედ ამიტომ აძლევს აღნიშნული კლინიკა სტუდენტს რეალურ გამოცდილებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ვებ გვერდი
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები
- ინტერვიუ ბაკალავრიატის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა აერთიანებს სავალდებულო და არჩევით საგნებს, რაც უზრუნველყოფს უკეთეს შედეგებს. პროგრამის არჩევითი ნაწილის თანახმად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ დისციპლინები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. ეს უზრუნველყოფილია პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი საგნების მრავალფეროვნებით.

რაც შეეხება კრედიტების რაოდენობას და კონკრეტული კურსის შედეგებს, კრედიტები, კურსის შინაარსი და მისი მოცულობა ერთმანეთს უკავშირდება. ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად, სტუდენტმა, მთლიანობაში, უნდა მოაგროვოს 240 კრედიტი.

უნივერსიტეტის ფლობს ერთ-ერთ ყველაზე ხარისხიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზას HeinOnline, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას აძლევს ჩაატაროს კვლევა ნებისმიერ სფეროში; ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი კვლევის პროცესში და არ ზღუდავს მათ არჩევანს. ეს სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, დაინტერესების შემთხვევაში, ჩაერთოს მნიშვნელოვან პროცესში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საჭირო ლიტერატურა, იმისათვის რომ განახორციელონ კვლევითი სამუშაოები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები
- ინტერვიუ ბაკალავრიატის სტუდენტებთან
- ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა
- ბიბლიოთეკა
- სილაბუსი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

